№ 99. მაისს 6, კვირა. 1866—1884 მაისს 6, კვირა. № 99.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

„დროების“ რედაქცია—სიმონსონოვის ქუჩაზე, ნაზაროვის სახლში, 1-ლი კლასიკური გიმნაზიის უკან.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე; ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ Редакцію „Дроэба“.

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—6 მ; 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4 მ.; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

ფასი განცხადებისა: სტრიქონზე რვა კაპ.; განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი.

დაიბეჭდა და იყიდება
ყველა თბილისის წიგნის მაღაზიებში
თ. გიორგი დავითის ძის
ერისთავის
თხზულება

წიგნი შეიცავს 594 გვერდს. თხზულების დასაწყისში არის დართული პორტრეტი პოეტისა, ლეიპციგში გაკეთებული. იქვე არის მცირე შესავალი თ. აკაკი წერეთლისა და ვრცელი ბიოგრაფიული და კრიტიკული შემეცნება ი. მეუნარგიასი.

ფასი წიგნისა

თბილისში 2 მ. გაგზავნით 2 მ. და 40 კ. საგანგებოდ გაკეთებულის კალენკორის ყდით.

მოკლეს დროში წიგნი გაიგზავნება ქუთაისში და ყველა საქართველოს უეზდის ქალაქებში, სადაც წიგნების ვაჭრობა არის.

ქალაქიდამ წიგნის დაბარება ამ ადრესით შეიძლება: Тифлисъ. Въ Закавказскую книжную торговлю Зах. Петр. Грикуровъ. (10—1)

ზედამხედველი კომიტეტი თბილისის სააღგილ-მამულო ბანკისა

ამით აცხადებს, რომ საერთო ყრილობა თბილისის სააღგილ-მამულო ბანკის დამფუძნებელთა და მსესხებელთა წევრთა, რომელიც დანიშნული იყო ექვსი მაისისათვის არწრუნის თეატრში, გადადებულ იქმნა 7 მაისისათვის დილის ათს საათზედ.

თავ-მჯდომარე კომიტეტისა თავ. ანდრონიკოვი. (1—1)

„ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებლის საზოგადოების» მმართველობა ამით აცხადებს, რომ კვირას, 13 მაისს, იქნება საზოგადო წლიური კრება საზოგადოების წევრთა „წერა-კითხვის საზოგადოებისავე“ ზალაში, სიმონსონოვის ქუჩაზე, ნაზაროვის სახლში, პირველი კლასიკური გიმნაზიის უკან, „დროების“ რედაქციის ქვეშ, შემდეგის საგნების განსახილველად:

1) მოსმენა და დამტკიცება საზოგადოების საქმეთ-წარმოებისა 15 მაისიდამ 1883 წ. 15 მაისამდე 1884 წ.

2) მოსმენა და დამტკიცება მომავალის წლის შემოსავალ-გასავლის აღრიცხვისა და

3) ამორჩევა საზოგადოების ახალ წევრთა. (6—1)

## შინაური ქრონიკა

— პარასკევს სალამოზედ თავად-აზნაურთა გუბერნიის წინამძღოლის სადგურში თავი მოიყარეს ასამდე თავადმა და აზნაურმა, სადაც ოფიციალურად მოისმინეს გ. წინამძღოლისაგან ამბავი პრიკაზის ვალის ნახევარის პატიებისა. კრებამ გადასწყვიტა მიართვას ხელმწიფე იმპერატორს უქვეშევრდომესი ადრესი ამ ახალის მოწყალებისათვის.

— თბილისის სათავად-აზნაურო ბანკის ზედამხედველ კომიტეტს გადაუწყვეტია შემდეგი განაწილება წარუდგინოს საზოგადო კრებას წლევანდელი ბანკის მოგებისა. 20000 მანათი მიეცეს სათავად-აზნაურო სკოლას და დანარჩენი 2426 მანათი და 19 კაპ. გაუნაწილდეს თანაბრად თელავის საქალებო «ზავედენიეს», გორის საქალებო პროგიმნაზიას და სამეურნეო სკოლას ს. წინამძღვრიანთ კარში. ამასთანავე ზედამხედველ კომიტეტს მიუღია საზოგადო კრების წინაშე წარსადგენადვე ბანკის გამგეობის აზრი შესახებ 9800 მანათის ხარჯის მომატებისა წელიწადში. აი ამ ხარჯს რა და რა შეადგენს. 5000 მანათი წელიწადში გადაიდოს ბანკის აგენტისათვის, რომელიც მუდამ პეტერბურგში იცხოვრებს, ბირჟას თვალ ყურს ადევნებს და ეცდება ბანკის გირაოს ფურცლების რიგიან ფასად დაყიდვას. ბანკის გამგეობას იმედი აქვს, რომ თუ ამ ადგილზედ კეთილსაიმედო და მარჯვე პირს იშოვნის, აიცილებს იმ ხარჯს, რომელიც ეხლა თავის პეტერბურგელი კორესპონდენტისათვის უნდება. 3000 მანათი გადაიდება ზედამხედველი კომიტეტისათვის, რომლის წევრთა მიეცემათ თითო თვიურ სავალდებულო სხდომისათვის ოც-ოც-და-ხუთი მანათი. 1000 მანათი მიემატება იმ მოულოდნელ ხარჯს, რომელიც აქამდის 2000 მანათი იყო და რომლის მომატება საჭიროდ დაუნახავთ, რადგან გამგეობის წევრთ ამას იქით ხშირად თითონვე დასჭირდებათ დამფასებლებთან ერთად მამულების დახედვა. დანარჩენი 800 მანათი მიემატება კანცელიარიისა და ბუხჰალტერიის ხარჯს.

— ჩვენის ქალაქისა და ცხენის-რკინის-გზის გამგეობის შორის შეტაკებამ ვერაფერი შეღავათი ვერ მოუტანა ქალაქში მცხოვრებლების ჯიბეებს. თუმცა როგორც გამგეობა, ისე საბჭო ქალაქისა დიდად წინააღმდეგნი არიან, მაგრამ ხსენებული რკინის გზის გამგეობა მაინც არხეინად ჰკრეფავს ხიდიდამ მუშტაიდამდე 6 კაპ. სულზე (5 კაპ. მაგივრად) და ხიდიდამ ერევნის მოედნამდე 5 კაპ. (3 კაპ. მაგივრად).

— ეს არის ეხლა მივიღეთ მშვენიერად გამოცემული წიგნი „თ. გიორგი დავითის-ძის ერისთავის თხზულება ავტორის სურათით“ აკაკისა და იონა მეუნარგიას წინასიტყვაობით. ერთ ტომში მოქცეულნი არიან სრულნი თხზულებანი თ. გ. ერისთავისა და მშვენიერის ინგლისური ყდით გადაკრულნი. ამას გარდა, ამ გამოცემისათვის განგებ ამოუჭრევინებია გამომცემელს სათაურის ასოები. სამწუხაროდ, ქაღალდი გამოცემისა არ შეეფერება გამოცემის სრულს სხვაფრივ სიმშვენიერეს

«დროების» ფელეტონი მაისის 6-ს.

## საკვირაოდ

მაისი, ეგ ტურფა მაისი, მთა-ბარის საბოლოოდ მომრთველ-მომკაზმელი და ბუნების სასურველი სტუმარი, აგრეთვე, ითვლება, ქართველ საზოგადოების გამომაფხიზლებელ თვედაც, რადგან მას თან მოაქვს კრებები და სხდომები ყველა იმ საზოგადოებათა, რომელთ მეოხებით, კუსა და მის ფეხის ზამოყოფის არ იყოს—ჩვენც ერთა-თანა ვირიცხებით (თუ თვით ვირიცხავთ თავს?), ჩვენც გვიჩნდება საზოგადობრივობის გრძნობათა გამღვიძებელნი და ნელ-ნელა განმავითარებელნი საგნები, ჩვენც ანგარიშს ვაძლევთ ჩვენს საკუთარს, შემკრებელობითს პირადობას დღეის ვარამზე და კანურკველის ბუნებით მოცულს ომოავალზე....

კრება „თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთ საზოგადოებისა შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის“, კრება „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“, კრება თბილისისა და ქუთაისის აზნაურობათა ბანკების დამფუძნებელთა და მსესხებელთა, კრება (მოსალოდნელი) დრამატიული საზოგადოებისა და ყველა ამ კრებებზე—ერთგან თავმოყრილი ქართველობა საზოგადო საქმეებზე ანგარიშთა მოსასმენად, საზოგადობრივთ საგანთა გასაბჭობლად, საქმეთა გარდასაწყვეტად და წინ-წამწევ ღონის-ძიებათა მისაღებად... განა ეს ხუმრობა არის? განა ყველაფერი ეს საყურადღებო, მიუცილებლად საჭირო და დიდად სასურველი არ არის? რაღა თქმა უნდა—არის, რასაკვირველია, სანატრელი და ყოვლად საწადელია მათი არსებობის დღეგრძელობა, განვითარება, მაგრამ... მაგარი ეს არის, რომ როგორც ყველაფერში, ისე აქაც ჩვენ გადავაჭარბეთ მათის მნიშვნელობის დაფასებას. მათის დაარსებით და მათის წარმატებისათვის ზრუნვით ჩვენ თითქო ყველაფერი მოვიქმედეთ და მოვიჭირნახულეთ, თითქო ყველაფერზე ვცდილობთ და ყველაფრისთვის ვზრუნავთ. არ გვინდა გადავაბიჯოთ მოქმედების ამ ფარგალს, რომელიც ლამის გაყინვის წერტილად გადაგვექცეს—ვკმაყოფილდებით მითი, მაშინ, როდესაც ბევრი რამ უფრო სანუკარი საქმე—არა თუ დაწყებული და საძირკველ ჩაყრილი, არამედ თეორიულადაც კი დამუშავებული და განსაზღვრულიც არა გვაქვს... მაშ, შორს ჩვენგან გრძნობაო კმაყოფილებისავ, რწმენაო ყველაფრის უკვე მოჭირნახულებისავ!... დღეს, რაც რამ საზოგადობრივნი დაწესებულებანი გვაქვს—ვიმეორებ—ყველაფერი კარგია და დიდად საჭირო, მაგრამ მათით დაკმაყოფილება არა თუ შესაწყნარებელია, არამედ მეტის-მეტად მავნე, ისეთი მავნე, რომ შეუძლია კიდეც ძალიან ადვილად დაგვღუპოს, ვითარცა ერი და საზოგადობრივი თვითება (ინდივიდუუმ)...

...ამ დაკმაყოფილების მეოხებით ჩვენ დავემსგავსებით სახარების იმ შვიდთა ქალწულთა, რომელნიც ამდენივე ხმხანაგებითურთ წავიდნენ საწადელის სასიძოს შესაგებებლად. ყველას ზეთ-ანთებულ ლამპრებით უნდა ეფხიზლათ შუაღამემდის, როცა მოევლინებოდათ მათ სასიძო დასათვალიერებლად... შვიდთა პირველთ კარგად ვერ განესაზღვრათ საჭიროებისათვის საკმაო ზეთი, ლამპრები ჩაუქრათ და ამასთანავე მიეძინათ კიდეც... მეორე შვიდთა კი ზეთიც საკმაო ჰქონდათ და იფხიზლეს კიდეც. შუაღამისას შეიქნა რეკა და ძახილი «მოვალს სასიძოვო!» უკანასკნელებმა ყოვლითურთ შესაფერად დახვდნენ მას და კიდეც გახდნენ მისი ღირსი, ხოლო პირველთა კი გამოღვიძებაც ძლივს მოასწრეს სასიძოს მოსვლის დროს, და რადგანაც ლამპრებში ზეთი აღარ ჰქონდათ,

და ათასში ერთგან დაბეჭდილიც ვერ გამოსულა კარგად. მაინც დიდის მადლობის ღირსია გამომცემელი, რომ ამისთანა მშვენიერი წიგნი შესძინა ჩვენს ლიტერატურას.

— ჩვენ გვთხოვენ გამოვაცხადოთ შემდეგი: «ხონის საოსტატო სემინარიის ღარიბ მოწაფეთა შემწეობის საზოგადოების კომიტეტი ამით აცხადებს, რომ მან წარსულის აპრილის 23-ს სემინარიაში გამართა ლიტერატურულ-მუსიკალურ-ვოკალური საღამო, რომლისგანაც საზოგადოების სასარგებლოდ შემოვიდა ბილეთებისაგან 83 მან. ნახევარი და ბ. ქავოსის შემოწირული 1 მანეთი—სულ 84 მანეთ ნახევარი, რომელიც კიდეც ჩაბარდა საზოგადოების ხაზინადარს. ამასთანავე კომიტეტი დიდ მადლობას უძღვნის ბ. პასხალოვს და მის მეუღლეს, რომელთაც მიიღეს მონაწილეობა საღამოში, როგორც მუსიკის დამკვრელებმა.

კომიტეტის სეკრეტარი
დ. აბდუშელიშვილი“.

— გაზეთს «ქარსში» ვკითხულობთ: «ფოცხოვის მაზრაში, შავშეთისკენ, ახალ-ციხიდამ 45 ვერსზე, სოფ. საიხვეს ახლო, აღმოჩნდა, როგორც გარედამა სჩანს, მდიდარი მარმარილოს მადანი. ამ ადგილს ხალხი «მარმარილოს მთას» ეძახის. როგორც მოხუცებულები ამბობენ, აქ ძველადვე, საქართველოს ბატონობის დროს, მუშაობდენ მარმარილოს, რომელიც ორ-ნაირი იყო: ერთი სრულიად თეთრი და მეორე უფრო მოლურჯო. ამ უკანასკნელს ბევრს ეზიდებოდენ ფოცხოვის მაზრიდამ. ეხლა სრულებით არ ეტყობა, რომ აქ მარმარილო ეთხაროთ, მხოლოდ ერთი, სოფელ ბადელაში მცხოვრები მოხუცებული სელიმ-ალა ამბობს, რომ ოსმალების დროსაც საიხვეს მარმარილო მიჰქონდათ ახალ-ციხეში მეჩეთებისა და აბანოების გასაკეთებლად და ახალ-ციხის გუბერნატორის ახმედ-ფაშის სასახლის გასამშვენიერებლადა, რომ შემდეგ ახალ-ციხის რუსეთის იმპერიასთან შეერთებისა, მეჩეთისა და სასახლის მარმარილოს მორთულობა ტფილისში წაიღეს და თითონ მეჩეთი ეკლესიად გადააკეთესო. ახალ-ციხელები ეხლაც ამბობენ, ვითომ ერთი იქაური აბანოს მარმარილოს მორთულობა ფოცხოვის მაზრიდამ იყოს მოტანილი.

„მარმარილოს მთის მთელი არემარე მოფენილია თეთრი, მტკიცე და მაგარი მარმარილოს ნაჭრებით. ამ მაზრის უფროსის თანადასწრებით გასინჯეს ეს მადანი და შეადგინეს აზრი, რომ მას დიდი სივრცე უჭირავს და არც ღრმად არის დედამიწაში.“

— ქუთაისიდამ ატყობინებენ გაზეთ «კავკაზს», რომ იქ განუზრახავთ კავკასიის სამეურნეო საზოგადოების განყოფილების გახსნა. ქუთაისის სამხედრო გუბერნატორს ეს აზრი დიდის თანაგრძნობით მიუღია.

— «რუსკი კურიერის» სიტყვით, ბათუმის პორტო-ფრანკოს გადიდება გადაუწყვეტიათ. წელსვე დაიწყებენ ახალ სამზღვრის დანიშვნას და, საცა საჭიროება მოითხოვს, იქ ზღუდესაც შემოარტყმენ.

## წერილი რედაქტორთან.

უმორჩილესად გთხოვთ მოგვცეთ საშუალება გაზეთის შემწეობით გამოვაცხადოთ შემდეგი:

«წერა-კითხვის საზოგადოების» სასარგებლოდ 11 აპრილს გამართული ბალიდამ შემოვიდა სულ 778 მან. 40 კაპ. აქედამ დაიხარჯა: 155 მან. და 50 კაპ. წმინდა მოგება დარჩა 622 მან. და 90 კაპ.

კომიტეტი ამ საზოგადოებისა გულითადს მადლობას უძღვნის კნ. ანნა ალექს. ასულს ამილახვრისას ბალის გამართვაში ერთგულის მონაწილეობის მიღებისათვის.

თავ-მჯდომარის მაგიერი
ილია ჭავჭავაძე.

## «დროების» კორესპონდენცია

ქ. სიღნაღი, აპრილის 28-ს. ძლივს ვაი-ვაგლახით მოვიშორეთ სუსხიანი და შემაწუხებელი ზამთარი. მოვიშორეთ, მაგრამ რა? ისევ ის სიცივეები, ისევ ის უფულობა და ათას გვარი «ისევ ისები» თავს არ გვანებებენ. აგერ როგორ მშვენივრად ამწვანდა მთა და ველი, ბაღ-ბოსტანი; რა მშვენივრად პატარძალივით მორთო ბუნებამ აქაურობა. ეს ყველა ზაფხულის ნიშანია, მაგრამ მარტო მერცხალი გაზაფხულს ვერ მოიყვანს. ხვალ არა, ზეგ ისევ მაისია, მაგრამ მაინც გვცივა; ასე გასინჯეთ, ამ თვის 23-ს მოვიდა წვრილი სეტყვა და მეორე დღესაც ისევ ეყარა ჩრდილში. ზარალიც მოგვიტანა, მაგრამ არა შესანიშნავი. თუ ღმერთმა შემდეგში დაგვიფარა, ამით არა გვიშავსრა.

მართალია, ჯერ კიდევ ცივა, მაგრამ სიღნაღელ ქალებს რა? განა სიცივე ამათ დააკლებს რასმე? სრულებითაც არა! ოთხ შაბათობით, ღამის პირველს ან 2 საათზე რომ ჩამოიაროთ კეთილ-შობილ კლუბისკენ (სამშაბათობით სამოქალაქო კლუბისკენ), გაიგონებთ ნაცნობ ხმას კლუბის ზალიდან: „პიატ-დესიატ ადინ, დვადცად ტრი“ «ატანდე, ლიზაჯან», ი, შენი თავის მზემ, «აი ქალო თუ გნებავს პრავკა მიყავით». აქ აიშლებიან და ერთი ალიაქოთი უნდა შეუდგესთ. იქნება იკითხოთ—სულ «ბარიშნები» არიანო? არა, ბატონებო! „ბარიშნებიც არიან და ბარინიებიც“, იმისთანა ბარინიები, რომელთაც რამდენიმე უსუსური ბავშვი შინ უტირით. იქნება, იკითხოთ—ვის სინაბარას დაუტოვებიათ ეს მომავალი თაობა და თითონ აქ გამოჭიმულანო? მე არ ვიცი, მკითხველისთვის მიმინდვია ამის გამოცნობა:

«ოთხით დავიწყე, ორზედ გავედი,
ორმა არ მინდო, სამს განდე ბედი».

ეხლა სამისთვის მიუნდვია ბედი სამოქალაქო კლუბს, ისე მოხუცებულა, რომ ძლივსღა ჩიფჩიფებს, მაგრამ კიდევ მხიარულობს. ტ. ბ. უკრავს მუზიკას, ეკონომი ს—ს. ჩაუყუდებია ბუთლიკის ყელში ჩაის კოვზი და აჟღრიალებს, შვეიცარი ტლინკავს და ამით ატარებენ მხიარულ დროს, ხანდისხან კრივიც იციან.

ეს ყველა ყველა და რას გვიშვრებიან ეს სიღნაღელი ყასბები. ყველა ღმერთს ეხვეწებოდა—ღმერთო, ჩქარა გაატარე დიდ-მარხვაო, ებებ პირი გავიცხიმიანოთო. დიდ-მარხვაც გავიდა, მაგრამ ისევ ლობიო უნდა ვჭამოთ: თითქმის ყველა ქალაქებში ტაქსა იწერება, აქ რაღა ღმერთი გაუწყრა! ერთ მდიდარ კაცს ჩაუგდია ყასაბხანა ხელში და როგორც უნდაა ისე ატრიალებს,—ეს გახლავს დაბალ ქიჭია. კვირა-ცხოვლობამდის მაზანდა არ არისო და როგორც ჰსურდათ, ისე ჰყიდდენ ხორცს, ე. ი. 13 კ. ხან 15 კ. გირვანქას, ისიც როგორ ხორცს, ისეთს რომ დიდ-მარხვაში ლობიოს მაგივრობას იზამდა. ეხლა? ეხლა ორი შაურია გირვანქა, მაგრამ რა? განა შეგიძლიანთ იშოვოთ რიგიანი ხორცი? სულაც არა: ფილეინი, დეპუტატისაა (დიდი კაცია და!) სუკი დოქტორისაა (ისიც დიდი კაცია!), დანარჩენი კარგი ნაჭრები კინტოებისაა (იმათი ეშინიანთ — გალანძღვენ), დანარჩენ უხეირო ხორცი, ე. ი. კისერი, მისერი, არტალა, ჩანა, თავი, ფეხები, და სხვა, თუ გნებავს, წაიღე, თუ არა და მიბძანდიო,—გიპასუხებენ ჩვენი პატიოსანი ყასპები: ილანა, ბიქო, ბრუციანი, და სხვანი...

ჩვენს სიღნაღში უფულობაა და უვაჭრობა; რომელ დუქანშიაც შეიხედავთ, სულ თავს აკანტურებენ დახლო-

---

მოფხიზლეებმა კი არ ასესხეს (იმ სამართლიანის მიზეზით, რომ მათაც საკმაოზე მეტი არ ჰქონდათ) და ახლომახლოს არ იშოვნებოდა და ვერც მოასწრებდენ—სასიძოს ვერ დახვდენ წესისამებრ მზად, რის გამო დაწუნებულნი შეიქმნენ მისგან და—მდაბიურად ვიტყვით — პირ-ღიანი გარჩნენ რიყეზე...

დღეს თუ ხვალ, ჩვენც მოგვევლინება სახარებისებურის მინაგვარი სასიძო და ვაი ჩვენდა, თუ შვიდთა ზარმაც ქალწულებსავით მოგვივიდა, ვაგლახი ჩვენს არსებობას, თუ დროზე არ გამოვიღვიძეთ, ლამპარი არ გავაჩაღეთ და სასიძოს არ დავუხვდით ფხიზლად და შესაფერად!...

....საჭიროა ერთი მთავარი დედააზრის ალსაარება და მასთანავე ზოგადის პროგრამის შედგენა, ერთს გარკვეულს გზაზე დადგომა მთელი ჩვენის უმთავრესის ძალ-ღონით... მხოლოდ მაშინ მიეცემა მკვიდრი საფუძველი ჩვენს წარმატებასა და განვითარებას... მანამდის კი ჩვენ ვიქნებით მსგავსი იმ ადამიანისა, რომელსაც ხელ-ფეხიც აქვს და პირ-მუცელიც, ცხვირიც და თვალებიც—მაგრამ აკლია ის, რითიც კაცი კაცობს—სათანადოთ მომართული ტვინის აპპარატი, ორგანო გონიერებისა... ამისთანა კაცი ვერ კაცობს, მისთვის მტერი არ არის საჭირო, იგი თვით არის თავის მტერი, ის თვითონ მოიკლავს თავს ნელ-ნელის სიკვდილით...

***

„ავსა კაცსა ავი სიტყვა ურჩევნია სულსა გულსა“-ო. ეს ყოვლად მართალი ანდაზა ზედ-გამოჭრილია სახელ-განთქმულის „მოსკოვის უწყებების» სახელ-განთქმულსვე ტფილისელ კორესპონდენტზე, ამ შავბედით С. Р. (ს. რ.) რომლის კალმისთვის ბ(ე)დის-წერას ხვედრად ურგუნებია უსინდისო ცილის წამებასთან ერთად უტვინო შეხედულობა კავკასიის ცხოვრებაზე საზოგადოდ, და ქართველებისაზე კერძოდ. როგორც გამოჩენილს ბერძენს არ აძინებდა უგამოჩენილესის მილტიადის დაფნის გვირგვინი, ისე ამ ჩამოსულს С. Р. არ აძინებს ის გარემოება, რომ ჩვენი ცხოვრების შევიწროვება სხვა-და-სხვა მიზეზთაგან არ გასცილებია ჰერკულესის ბოძებს, რომ ჩვენ კიდევ გვიდგას პირში სული, რომ კიდევ გვიძგერს მკერდში გული... თავის უკანასკნელს კორესპონდენციაში ამ ვაჟბატონს მოუგროვებია ამ უკანასკნელის სამი წლის განმავალობაში მოხდენილი მკვლელობანი ჩვენში, რიცხვით სულ ს—ა—მ—ი (3) რომელშიაც მესამე ადგილი უჭირავს თ. ი. ბაგრატიონ-მუხრანბატონზედ სუმბათაშვილისაგან რევოლვერის სროლას, და თავისს შესაფერის სიბრძნით აღსავსე კილოთი ამბობს („Москов. Вѣд.“ № 114): «კაცი რწმუნდები, რომ საჭიროა მკაცრი მაგალითები სამაგიეროს მიგებისა, რათა ალაგმულ იქმნენ აზიელთა თავ-აშვებულნი ვნებანი» («приходишь къ убѣжденію (,) что нужны суровые примѣры возмездія чтобы обуздать разнузданныя азіятскія страсти»). ჯერ ერთი ეს: ჩვენს ერზე და საზოგადოებაზედ, თუ მაინც და მაინც გნებავსთ, ყველაფერი ითქმის, გარდა რაღაც მოგონილ ს. რ—საგან «თავ-აშვებულ ვნებათა», რომელნიც ჩვენზე ისე შორს არიან, როგორც ს. რ—ზე სინიდისი, გონიერება და რომელიმე საგანზე პატიოსნური შეხედულება... მეორეც, კიდეც რომ ვფლობდეთ ს. რ—ს და მისს გვარ ვაჟბატონების გასახარებლად ამ გვართა «ვნებათ»—მაშინაც ყოვლად შეუძლებელი იქნებოდა „ალაგმა“ «მკაცრის მაგალითებით სამაგიეროს მიგებითა», რადგანაც, თუ შეიცვლება ხალხის რომელიმე თვისება და ჩვეულება, დრაკონულის საშუალობებით კი არა, ზნეობითადის გავლენით, სწავლისა და აზრის განვითარებით შეიცვლება... თვინიერ ამ პირობებისა შეუ-

ღრიბი, და გაიგეთ თუ არა, სულ ჯიბეზე შემოკეცერიან, მაგრამ ეხლა ხანს (გუბერნატორის მოხსენების შემდეგ) გაიმა ხმა, ვითომც მთავრობას სურს გამოიყვანოს თავად-აზნაურთაგან მაზრედები გლეხებისათვის. (სახლთ-სათვისი დესიატინას 50 მან., სახლ-კარ ხნილობისათვის დესიატინზე 100 მან. თურმე აძლევს მთავრობა თავადებს). ეს ფული უნდა მიიღონ ხაზინიდან. ღმერთს წყალობა გაქვთ, აქ და-ფიცურდნ აბა, კარაპეტ-ჯან, შენი ლიტერის №... მე მომიდე. რათა? მა, გეხმის რადა, მეც სამუ მაქვს იმ ამოსაფხ და! ჩემიც 3000 მან. მართებს და ერთად გავანაღდებ... ძარღვენეს, ჟოვალნ და მოგცემ... მოთმინებამ უნდა გაგასაღოთ, მაში!..

იცით რა სთხოვეს გუბერნატორს სილიტის წარმომადგენლებმა, თუმცა კი უარი ეთქვათ. სამოქალაქო აფთიაქის გახსნის ნება მოგვეცითო. რათა? არა ჰყოფნით ლ. მ. შეილის აფთიაქი? როგორ არა, ბატონებო, მაგრამ ახალი აფთიაქით უფრო ადვილად ბევრს ისარგებლებენ.

## რუსეთი

— «პეტერბურგის უწყებების» სიტყვით, ქენიგსბერგში (გერმანიაში), იქაური პოლიციის განკარგულებით, ისეთივე განცხადებები გამოუკრულით, როგორც რუსეთში, რომ ვინც დეგაევის (სუდეიკინის მკვლელის) დაჭერას გვიშველის, ან გვასწავლის, სად შეიძლება იმის პოვნა, იმას რუსის მთავრობა ფულით დააჯილდოებსო.

— გაზეთ „ნოვოსტი" გადმოგვცემს: ხმა რომ იყო გავარდნილი, ვითომც რუსეთის რკინის-გზების უმთავრეს საზოგადოებას ბოროტ-მოქმედება ჩაუდენია ნიკოლაევის რკინის-გზის წარმოებაში, მართალი გამოდგარა. სარევიზიო კომისიას, რომელიც ამ ორის წლის წინად იყო დაწესებული ამ საზოგადოების რჩევის მოქმედების გამოსაკვლევად, პირიანად აუსრულებია თავისი დანიშნულება და მალეც გაუთავებია საქმე, თუმცა დიდ-ძალი დოკუმენტები გაურჩევია, რომელნიც 14 წლის განმავალობაში არავის გაუსინჯავს. კომისიას ბევრი შრომა უხმარია ყველა იმ სიყალბის გამოსააშკარებლად, რომელიც ამ საზოგადოებას ჩაუდენია. პროტოკოლი შეუდგენიათ და ჩაუბარებიათ საზოგადოების რჩევისთვის. ამ პროტოკოლიდანა სჩანს, რომ საზოგადოებას დიდ-ძალი ფული დაუხარჯავს უკანონოდ, 30 მილიონზე მეტი, რომლიდგანაც 25 მილიონი სახელმწიფო ფული ყოფილა.

— პოლშის ქალაქ ლოძში, რომელიც განთქმულია თავის ქარხნებით, საშინლად დაცემულა ვაჭრობა და მრეწველობა. აი ეს შვიდი თვე თურმე არის, რაც ესეთი ცუდი მდგომარეობაა და არც არის იმედი, რომ საქმე მალე გასწორდეს. დიდ-ძალი ვაჭრები გაკოტრებულა, როგორც წვრილი, აგრეთვე ძლიერ შემძლებლებიც. ეხლა ხანს ორი ქარხანის პატრონს უარი უთქვამს ვალების მიცემაზე. ერთ-ერთ ამათგანს 130-ათასიდან 150-ათასამდინა აქვს თურმე ვალი და ამის პასუხის საგებლად სულ 80000 მანეთის საქონელი. მეორეს 87000-მდინ ვალი აქვს და ფული კი რამდენი, ჯერ ცნობაში არ არის მოყვანილი.

— გაზეთ «ნოვოე ვრემიას» სწერენ მინსკიდან: სხვა-და-სხვა ქურდობასა და ჯიბგირობასთან საეკლესიო ნივთებსაც ხელი მიჰყვეს. ამისთანა ქურდობა ეხლახანს მოხდა აქაურ კათედრის კასტელში: ქურდს წაუღია ყუთი, რომელშიაც უწმიდესს ნივთებს ინახავენ. საზიარებელი პური ძირს გაუფანტავთ, ღვთის-მშობლის ხატიც წაუღიათ, რომელიც ტრაპეზის წინა ყოფილა სამების სამლოცველოში; ეს ხატი ძვირფასი თვლებითა ყოფილა შემკული. ამ ხატის ჩარჩო დაუმტვრევიათ და პოლზე დაუყრიათ ნამტვრევები. ამას გარდა, ოთხი ყუთი მოუხსნიათ, რომლებშიაც ფული ყოფილა და რამდენიმე ვერცხლის შანდალიც მოუპარავთ.

## უცხოეთი.

— მაისის 5-ს ლონდონში გამოსულა პირველი გამოცემა, ესრედ-წოდებული, პარლამენტის მწვანე წიგნისა, რომელიც შეიცავს ფრიად საინტერესო ცნობებს ეგვიპტის საქმეთა შესახებ. მწვანე წიგნში, სხვათა შორის, მოყვანილია მიწერ-მოწერილობა გრანვილისა კაირის აგენტთან ბერინგთან და ამ უკანასკნელისა გენერალ გორდონთან. ამ მიწერ-მოწერილობიდგან სჩანს, რომ გორდონის ხართუმში წასვლის შემდეგ მალე ჩამოვარდნილა უნდობლობა იმასა და კაბინეტს შუა, და ბოლოსა-და-ბოლოს საქმე იქამდინ მისულა, რომ მათი ურთიერთშორის დამოკიდებულობა მტრული გამხდარა. ამასთანავე, როგორც სჩანს ბერინგისა და გენერალი ვუდის წერილებიდგან, რომელნიც პარლამენტში წაუკითხავთ, არც ესენი თურმე ეპყრობიან ბედკრულს გორდონს, როგორც რიგია. ლორდი გრანვილი, როდესაც საქმე-რამ გაუჩნდებოდა გორდონთან, პირ-და-პირ იმას კი არა სწერდა, ბერინგს ატყობინებდა და ეს უკანასკნელიც გორდონს. ამით, უეჭველია, გრანვილი ცდილა თვითონაც თავი დაეძვრინა და მთლად კაბინეტისათვისაც აეცილებინა პასუხისგება და ყოველივე ბრალი ეგვიპტის საქმეების შესახებ სხვებისთვის მოეხვია კისერზედ. ეხლა აშკარავდება, რომ არც ერთი გორდონის თხოვნა, არც ერთი მისი წინადადება კაბინეტს არ შეუსრულებია; ამას გარდა, ვიდრემდის შესაძლებელი იყო, კაბინეტი ზვერავდა თურმე გორდონის თვითეულს ფეხის გადადგმას, ეჭვიანის თვალით უმზერდა ყოველს მისს მოქმედებას და ყოვლის ღონისძიებით უშლიდა მას თავისუფლად მოქმედებას. ამის დასამტკიცებლად ბევრი მაგალითების მოყვანა შეიძლებოდა, მაგრამ საკმაოა ისიც, რომ მოვაგონოთ მკითხველებს ის გარემოება, რომ სამინისტრომ არამცთუ ზებერ-ფაშა არ გაუგზავნა გორდონს, ბერბერში გორდონის მიერ თხოვნილი ჯარი არ გაგზავნა და არ გასწმინდა აჯანყებულებისგან გზა ამ ქალაქსა და სუაკიმს შორის, არამედ მაჰდის ნახვა და თეთრი ნილოსით წინ-წასვლაც კი აუკრძალა. ბოლოს, როგორცა სჩანს მწვანე წიგნიდგან, ბერინგიც გაბეზრებულა, ველარ შეუძლია სამინისტროს სასტიკი ბრძანებების აღსრულება და გრანვილისთვის 24 მარტს შემდეგი ტელეგრამა გაუგზავნია: «გენერალი გორდონი ისეთის პირობებით არის ეხლა გარე-მოცული, რომ, ჩემის აზრით, ვერას გზით ვერ შესძლებს თქვენი ინსტრუქციების შესრულებას, თუმცა კი თქვენ სრულს ნებას აძლევთ დასტოვოს ღვთის-ანაბარად სენაარის, ბარ-ჰაზელის და ჰონდოკოროს ციხის გუშაგნი. ეხლა ციხის გუშაგთა დახსნაზე კი არ უნდა ვზრუნავდეთ, თვით გორდონისა და პოლკოვნიკი სტიუარტის დახსნაზე უნდა ვფიქრობდეთ; მაგრამ, გინდა კიდეც დაეიხსნათ როგორმე იგინი, არც ერთი მათგანი არ წამოვა ხართუმიდამ, ვიდრემდის ციხის გუშაგსაც და მცხოვრებლებსაც არ დაიხსნიან გაჭირებისგან».

25 მარტს ამავე ბერინგის უთხოვნია მმართებლობისათვის სუაკიმიდგან ბერბერში ჯარის გაგზავნა, რომ ამით ეგებ როგორმე გააადვილებოდა გორდონს უკან წამოსვლა, მაგრამ მმართებლობას არც ეს თხოვნა შეუსრულებია და ზღილობიანად მოუშორებია ბერინგი თავიდგან. ამ ფაქტის შესახებ ერთი ინგლისური გაზეთი შემდეგს აზრს ამბობს: «ბერინგმა, როგორც იყო, გამოიფხიზლა, მაგ-

---

ძლიებელია ხალხის რომელიმე თვისების და ჩვეულების (რაც უნდა მევნებელი იყოს იგი), შეცვლა... ახლანდელს დროში ეს უწყის ყველამ, ვისაც მისხალი ტვინი მაინც კი მოეპოვება კასროში... ჩვენ ეჭვი გვაქვს, რომ თვით ს. რ—მაც კი უნდა იცოდეს, მაგრამ თუ წინაალმდეგს ამჭევრმეტყველებითს თავის კალამს, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ თვისს ამქრებითურთ წყალი აამღვრიოს და თევზები იჭიროს... ვნახოთ, რასაც მოვესწრებით!.. ბოლომდის რომ ჩავყვეთ ს. რ—ის კორესპონდენციას, იქ ვიპოვით ისე უხვად გაფურჩქვნილს ყლორტს ს. რ—ის ყოვლად საძაგლობისას და არამზადობისას, რომლის მსგავსი მხოლოდ კა—ს ბაღში თუ იხარებს... «ახალ-გაზდა, ქარაფშუტა ქართველები სრულიად ფიქრის უხმარებლად იტენენ თავებს დამაქცევარის სწავლით, (разрушительныхъ ученій) არაფერს საფუძვლიან—მეცნიერულს არ ითვისებენ, და თუ ერთხელ როგორმე ხელთ-იგდეს ატესტატი, ანუ მოწმობა, განიბერტყენ (თითქო მტვერი იყოს!) სრულიად უსარგებლოს, მათის აზრით, სამეცნიერო ბარგ-ბარხანას, უხშირებენ თავიანთს სუფრულს მრავალ-ჟამიერს და კახური ღვინის სმას, იცმენ ახალ-უხს (დახე! მალე ჰერანგის ჩაცმასაც დანაშაულად ჩაგვითვლის), ეძლევიან აზიურს სიზანტეს თავიანთ (გული ხომ არ გწყდება, რომ თქვენი არ არის!) ჭანდრების ჩრდილს ქვეშ, ვიდრე მათს მოსვენებას (შვებას) არ დაარღვევს გულის-მოსვლის განძვინება, (რომელსაც ხელს უწყობს) მათგან ყოველთვის თან-ტარებული სატევარი ანუ რევოლვერი"... როგორც ყოველი ამისთანა მოვლენა, ესეც შიშია საზიზღარი, რომ ცარიელ, ყოველ საფუძველს მოკლებულის სიტყვების ტყორცნაზეა დამყარებული... ნუ თუ ამის თქმის ნებას აძლევს მას ის საწყალობელი სამად-სამი სისხლის-სამართლის დანაშაულობანი, რომელნიც მას როგორც ეტყობა ასე გულ-დასმით უგროვებია? ნუ თუ ერის ცხოვრება ამისთანა ბრალდების მსხვერპლი უნდა შეიქნეს, იმის გამო, რომ რამდენიმე წლის განმავლობაში (თუ გინდ დღისაც) სამი ბოროტ-მოქმედება ჩაიდინეს ორიოდე მისმა წევრმა? გონიერების შეხედულებით არა, და ს. რ—ის და «მოსკოვის უწყებების» აზრით—კი...

ჩვენ რომ მაგისთანა გასვრილ ადამიანებთან მათისავე იარაღით შებმას ვიკადრებდეთ, ამოვწერდით მათისავე გაზეთის სწორედ იმავე ნომრიდამ უფრო საზიზღარს, უფრო მოკლეს დროში მომხდარს ბოროტ-მოქმედებათ (ორ ოჯახის მშობლებს თავ-თავიანთი ღვიძლი შვილი ჯერ უცემიათ, მერე უწვალებიათ და ისე მოუკლავთ), შევაგროვებდით მათს ენაზე გამოცემულს გაზეთებს, ამოვილებდით იქიდამ ათასჯერ უმეტესს, კიდევ უფრო უსაშინლესს ფაქტებს, და რასაც ჩვენზე ბძანებენ იმასვე უფრო საფუძვლიანად უკან დავუბრუნებდით... მაგრამ ამას ჩვენს პატიოსნებას არ ვაკადრებთ. ჩვენ კარგად გვესმის, რომ როგორც არ მოიძებნება უნაკლულო ცალკე თვითება, ისე ერიც არ მოიძებნება დედამიწაზე, რომ მისს ცხოვრებაში აუცილებლად რამდენიმე ბოროტ-მოქმედებანი არ მოხდეს, რომ მრავალ პატიოსან, შრომის მოყვარე მოქალაქეებთან ერთად არ იყოს მცირე რიცხვი ავაზაკების, უსინდისოების და არამზადებისა. ჩვენ ვერ წაგვაცხებინებს ჩირქს მთლად რომელიმე ერზე ვერც ის გარემოებაც, რომ მოხსენებულის მცირე რიცხვის ზოგიერთნი წევრნი კაცმითაც ავაზაკობენ, და უმეტესი ვნება და ზარალი მოაქვთ, ვიდრე სატევრით და გინდ რევოლვერით შეჭურვილს უკალმო ავაზაკებს...

ვისაც აქვს ყურნი სმენად ისმინოს!

ჭ.

რომ ჩვენს მმართებლობას კი ჯერ ისევ სძინავს». იმავე ხანებში გორდონისთვის მიუწერია მმართებლობას—«მისი დიდებულების, დედოფლის, მმართებლობა სრულს თავისუფლებას გაძლევს—გინდა დარჩი ხართუმში, თუ საჭიროდ ხედავ, და გინდ წამოდი ან სამხრეთით, ან სხვა რომელიმე გზითაო». სასაცილოა ის გარემოება, რომ ეს წინადადება იმის შემდეგ გაუგზავნიათ გორდონისთვის, როდესაც იმისაგან ძალიან შემდეგი ტელეგრამა მოსულა: „მე ვერ ჩავიდენ იმ სისაძაგლეს, რომ აქ ღვთის-ანაბარად დავტოვო ხართუმის მცხოვრებნი და ციხის გუშაგი, რომელნიც ჩემთვის თავდადებულნი არიან».

ბოლოს მოთმინება გამოლევია გორდონს და გაბოროტებული იწერება ტელეგრამებს. იმის უკანასკნელ ტელეგრამას საშინელი სარკაზმის და განრისხების კილო აქვს.—«ჩემი საქმე ცუდად არის,—სწერს იგი ბერინგს,—შესაძლებელია დამიჭირონ და სოფელ-სოფელ მატარონ, როგორც ფეხ-შეკრული დრეგიში. მე ამითი ის არ მინდა ვთქვა, რომ მე ოდესმე ცოცხალი ჩაუვარდე ხელში ჩემს ემბარიფერ მტრებს. იმაზე დიდი საძაგლობა აღარ შეიძლება, რომ მე აქედგან წამოვიდე, აქაური მცხოვრებლები აქ გაუშვა და არ ეიხსნა ყოველი ღონის-ძიება მათ დასახსნელად. მე არ დამიჯერებს, რომ ისინი ფულს მაძლევდენ და ჩემი თხოვნით სულ უკანასკნელ ფასად ჰყიდდენ პურს. მე დარწმუნებული ვარ, რომ თქვენც და ყოველი პატიოსანი კაცი, ვისაც კი თავი მოსწონს, სწორედ ასე ფიქრობს და ასეც მოიქცევა.»

— როგორც ლონდონიდან მოსული ტელეგრამიდგან ვიცით, ბიკს-ბიჩმა წინადადება შეიტანა საზოგადოებათა პალატაში, რათა ამ უკანასკნელმა გამოკიცხოს მმართებლობის მოქმედება მიეპტის საქმეთა შესახებ. თუმცა პალატამ უარ-ყო ეს წინადადება, მაგრამ მაინც უეჭველი არ იქნება მოვიყვანოთ აქ მისი შინაარსი; აი რა არის ნათქვამი ამ წინადადებაში: «პალატა სწუხს, რომ მმართებლობის მოქმედება არ ეხმარება გორდონის მისიის წარმატებას და აგვიანებს მისს დახსნას იმ გაჭირვებული მდგომარეობიდგან, რომელშიაც ამ ჟამად იმყოფება».

გაზ. „ტაიმსი“ ამბობს: «ბიკს-ბიჩის წინადადებაში მთელი ინგლისის გრძობა არის გამოხატული. რაღაცა გასაოცარი უძლურებისა ძალით მისი დიდებულების, დედოფლის, მინისტრებს ვერ შეუგნიათ, რა დიდი მნიშვნელობა აქვს გორდონის ბედ-იღბალს საზოგადოების თვალში. გორდონის მდგომარეობაზე მარტო ლონდონი არა სწუხს; იმაზედ ლაპარაკობს მთელი ინგლისი და შოტლანდია, ყოველი პარტიის ორგანები, ყოველი წოდება და მათ შორის მუშა-ხალხიც.»

# ტელეგრამები

(„ჩრდილოეთ სააგენტოსი“)

მაისის 4.

**პეტერბურგი.** თანახმად ცერემონიალისა, მაისის 6-ს მემკვიდრე ცესარევიჩის სრულ-წლოვანობის დღეობას, საზამთრო სასახლეში შეიკრიბებიან პირველ საათზე: იმპერატორის გვარეულობის წევრნი, წარჩინებული თავად-აზნაურობა, დიპლომატები, უმაღლესი სასახლის მოხელენი, დიდებულნი, გენერალიტეტი, სამხედრო პირნი და საპატიო ვაჭარნი; დასაფიცებლად დადგენილს პარაკლისს გადაიხდის სასახლის სობოროში პეტერბურგის და ნოვგოროდის მიტროპოლიტი ისიდორე; პარაკლისის დასრულების წინად ხელმწიფე იმპერატორი მიიყვანს მემკვიდრე ცესარევიჩს ტაძართან, ცხოველ-მყოფელის და წმ. სახარების წინაშე და დააფიცებს ხელმწიფის და სამშობლოს ერთგულებაზე და მაზედ, რომ მტკიცედ დაიცავს იგი მემკვიდრეობის უფლებას და გვარეულობის წესსა. ცესარევიჩი ფიცს წარმოსთქვამს მაღლა-ხმით და შემდეგ დაამტკიცებს მას თავის ხელის-მოწერით. დაფიცების შემდეგ 301 ზარბაზანს დასცლიან. როდესაც სობოროდგან გიორგის დარბაზში დაბრუნდებიან, მათი იმპერატორებითი დიდებულებანი ტახტზე დაბძანდებიან; ტახტის კიბეებზე დადგებიან იმპერატორის გვარეულობის წევრნი და უაგვისტოესნი სტუმარნი; ჯარი ლოცვას დაიწყებს; ხელმწიფე ჩამოვა ტახტიდგან და მემკვიდრეს მიიყვანს ლეიბ-გვარდიის ატამანის პოლკის შტანდტართან, სადაც მისი უდიდესობა ხმა-მაღლა წარმოსთქვამს ფიცს ხელმწიფისა და მამულის ერთგულ სამსახურზე; მაისის 7-ს, შუადღის 12 საათზე, მემკვიდრე ცესარევიჩს მიულოცვენ დღესასწაულს ანიჩკის სასახლეში დიპლომატები, და შემდეგ საზამთრო სასახლის ნიკოლოზის დარბაზში იქნება გამართული სადილი ორივე სქესისათვის.

მაისის 5-ს.

**პეტერბურგი.** მმართებლობის ცნობა: სტატ-სეკრეტარი კახანოვის და შინაურ საქმეთა მინისტრის ურთიერთ-შორის დათანხმების გამო მოწვეულნი არიან იმ კომისიაში, რომელსაც მინდობილი აქვს ადგილობრივი მმართველობის შესახებ პროექტების შედგენა, გარდა უწინდელთა წევრთა, 15 კიდევ სხვა პირი; უკანასკნელნი სულ გუბერნატორების, გუბერნიის და მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლების, გუბერნიის და მაზრის საერო გამგეობათა თავ-მჯდომარების რიცხვიდგან არიან; კომისია შემოდგომაზე შეუდგება კანონ-პროექტების შედგენას.

გუშინ, პარაკლისის შემდეგ, რომელზედაც დაესწრო უავგუსტოესი მფარველი ბაღოსნობის ხალხთა-შორებრივი გამოფენისა, დიდი მთავარი ნიკოლოოზ ნიკოლოოზის-ძე უფროსი იყო საზოგადო კრება ხალხთა-შორებრივი გამოფენის ბიუროს წევრთა, ბიუროს პრეზიდენტმა, გენერალ-ადიუტანტმა გრეიგმა წარმოსთქვა სიტყვა და მიესალმა უცხო-ქვეყნელთ. დღეს დიდის ამბით დაიწყება გამოფენა და პირველი სხდომა ხალხთა-შორებრივი ბოტანიკური კონგრესისა.

**ვენა.** გუშინ საღამოზედ სულ-ერთიანად გადიწვა ქალაქის თეატრი; უბედურება არა მომხდარა-რა.

**ლონდონი.** ლორდმა გრანვილმა აუწყა საზოგადოებათა პალატას, რომ ეხლა ხართუმში საქმე კარგად მიდისო; გორდონი რამდენჯერმე გამოუხტა მტერს და საქმე მარჯვედ მოუვიდაო.

# განცხადებანი

**უჭალიერი** ახალი მხატვრობით მომავალის სეზონისათვის მიღებული ბლომად და სხვა-და-სხვა გვარი საწყობში ოდესის ფაბრიკის.

ძმების ტარნოპოლისა

ლორის-მელიქოვის (ფოსტის) ქუჩა, ზუბალოვის სახლი, სასულიერო სემინარიის პირდა-პირ.

ფასი იგივე, რაც ფაბრიკაზედ 10 კაპეიკიდგან მოკიდებული.

(30—3)

მაისის 8-ს დღეს 1884 წ. 12 საათზედ პონნო-ქელეზნის გზის უპრავლენიე ნიშნამს ტორგს თივისას ცხენებისთვის ოც-და-თორმეტ ათასს ფუთიდან ორმოცი-ათას ფუთამდინ. ვისაც სურს აღება, შეუძლიანთ ყოველ დღე უპრავლენიაში წაიკითხონ ამ ფოდრატების პირობები. (3—3)

**ხონის**

საოსტატო სემინარიის ღარიბ მოწაფეთა შემწეობის საზოგადოების კომიტეტი ამით აცხადებს, რომ ამ მაისის 20-ს რიცხვს სემინარიაში იქნება საზოგადო კრება საზოგადოების წევრთა განსახილავად და დასამტკიცებლად გამგე კომიტეტის და რევიზიის კომისიის ანგარიშისა და აღმოსარჩეველად: საპატიო წევრთა, გამგე კომიტეტის წევრთა მათის კანდიდატებით, რევიზიის კომიტეტის წევრთა, განსახილველად წევრთაგან აღძრულ კითხვებისა და მოსასმენად მოხსენებისა წესდების შეცვლის თაობაზედ.

კომიტეტის სეკრეტარი დ. აბდუშელიშვილი.

(1—1)

საქართველო-იმერეთის სომხებ-გრიგორიანის ეპარქიალური კონსისტორიის დაწესებულებაში დანიშნულია.

# ვაჭრობა

ამ წლის მაისის 11-ს ხელმეორედ ვაჭრობის მოუხდენელად იჯარით გაცემაზედ იმ ბაღისა, რომელიც ეჩმიაძინის მონასტერს ეკუთვნის და მდებარებს კვრაზედ ქ. თბილისის პირველს განყოფილებაში. (3—2)

**თბილისის ქალაქის გამგეობა**

აუწყებს ბბ. სახლის-პატრონებს, რომ ამა მაისის 7-დგან დამფასებელი კომისიები შეუდგებიან ახლად დაფასებას ყოველ უძრავ ქონებათა, რომელნიც შიგ ქალაქში იმყოფებიან. ამასთანავე გამგეობა სთხოვს ბბ. სახლის-პატრონებს გაუწიონ დამფასებელ კომისიებს შესაძლებელი დახმარება და წარმოუდგინონ მფლობელობის დოკუმენტები, ცნობები შემოსავალზე, სამხლვრები უჩვენონ და სხვ. ყველა ამ გვარი ცნობები ვრცლად იქნებიან ჩამოთვლილნი საკუთარ უწყებებში, რომელნიც სახლის-პატრონებს გაეგზავნებათ. (3—3)

სამასწავლებლო ინსტიტუტის მოსწავლე ეძებს

# გაკვეთილს;

ქალაქ გარეთაც გაჰყვება. ადრესი „დროების“ რედაქციაში.

(10—2)

**კავკასიის სავაჭრო ამხანაგობა**

საათფთიაქო საქონლისა

თბილისში

მიღებულია **მინერალური წყლები** სამზღვარ-გარეთული და კავკასიისა **ამ გაზაფხულზე შემზადებული.**

ლავაშები (ლეპიოშკები), მარილები სასმელებისათვის და ვანნებისათვის.

ტერმომეტრები ვანნებისათვის.

სხვა-და-სხვა ზომის იარაღები (გაზოჭენები) სელტერისა და შუშხუნა წყლების მოსამზადებლად თავიანთ პრინადლეჟნოსტებით. (70—1)

Доз. ценз. Тифлисъ, 5 Мая 1884 г. სტამბა ა. კალანდაძისა და ამხ. გამომც. გ. ქართველიშვილი. რედ. ი. მაჩაბელი.